

თირამ გრანუფლო

(Thiram Granuflow, WG)

წყალში ხსნადი გრანულები - წხვრ
შესასხურებელი ფუნგიციდი

მოქმედი ნივთიერება: 80% w/w თირამი (ტეტრამეთილ-თიურამ-დისულფიდი).

მცენარის სახეობა	დაავადება	რაოდენობა	
		პესტიციდი (კგ/ჰა)	წყალი (ლ/ჰა)
ატამი	ფოთლის სიხუჭუჭე - <i>Taphrina deformans</i>	2,0-3,0	800-1000
ყურძენი	ნაცრისფერი სიდამპლე - <i>Botrytis cinerea</i>	3,0-4,0	800-1000
მსხალი, ვაშლი	ქეცი - <i>Venturia spp.</i>	2,0-3,0	800-1500
ციტრუსები	მეჭყეჩიანობა (<i>Elsinoe australis, Elsinoe fawcettii</i>), ანტრაქნოზი (<i>Colletotrichum</i>), ვერცხლისფერი ტკიპა (<i>Phyllocoptruta, Rust Mite, ფომა, ფომოფსისი</i>)	2,0-3,0	800-1500
მარწყვი	ნაცრისფერი სიდამპლე, ანტრაქნოზი - <i>Botrytis cinerea, Colletotrichum</i>	2,0-3,0	500-600

ტექნოლოგიური რჩევები:

ატამი - ფოთლის სიხუჭუჭის წინააღმდეგ შესხურებები ტარდება დოზით 2-3 კგ/ჰა შემოდგომაზე ფოთლების გაცვენის შემდეგ, ზამთრის ბოლოს კვირტების გაღვიძებისას და ვარდისფერი კონუსის ფაზაში (BBCH 95-69). იმ შემთხვევაში, თუ უამინდობის გამო მესამე შესხურება ვერ ხერხდება, დასაშვებია შესხურება ყვავილობის დროსაც. წელიწადში არაუმეტეს 3 შესხურებისა.

ყურძენი - ნაცრისფერი სიდამპლის წინააღმდეგ შესხურებები ტარდება დოზით 3-4კგ/ჰა. პირველი შესხურება - ყვავილობის საწყის ფაზაში, მომდევნო შესხურებები კი ნაყოფის სიმწიფის დაწყებისას (BBCH 61-81) ორი შესხურება 10-14 დღის ინტერვალით. წელიწადში არაუმეტეს 3 შესხურებისა.

ვაშლი და მსხალი - ქეცის წინააღმდეგ შესხურებები ტარდება დოზით 2-3კგ/ჰა. პირველი შესხურება ტარდება ყვავილობამდე ასკოსპორების გავრცელების პერიოდში. მომდევნო შესხურებები - ზაფხულის ინფექციის შემდეგ ნაყოფის სიმწიფის დაწყებისას (BBCH 10-81) 7-10 დღის ინტერვალით. დასაშვებია შესხურების დოზის გაზრდა ინფექციის მაღალი ფონის დროს. წელიწადში არაუმეტეს 4 შესხურებისა.

ციტრუსები - დაავადებების წინააღმდეგ შესხურებები ტარდება დოზით 2-3კგ/ჰა. პირველი შესხურება - ადრე გაზაფხულზე, როდესაც პირველი ვეგეტაცია 25% აღწევს. მომდევნო შესხურებები - ყვავილობის დაწყებისას, ყვავილედიდან ფურცლების ჩამოცვენისას და ნაყოფის ზომის 1-1.5მმ მიღწევისას. სულ ოთხი შესხურება. დასაშვებია მე-5 შესხურებაც მოსავლის აღების შემდეგ ზამთრის პერიოდში სოკოს სპორებით ინფიცირების შემცირებისათვის.

მარწყვი - ნაცრისფერი სიდამპლისა და ანტრაქნოზის წინააღმდეგ შესხურებები ტარდება დოზით 2-3კგ/ჰა ყვავილობის დაწყებისას, ყვავილობის პერიოდში და ყვავილებიდან 70-80% ფურცლების ჩამოცვენისას (BBCH 55-67) 10 დღის ინტერვალით. წელიწადში არაუმეტეს 3 შესხურებისა.

საფრთხეები, ლოდინის პერიოდი:
მსუბუქად მომწამლეული. საშიშია წყალში მცხოვრები ორგანიზმებისათვის. აკრძალულია წყალსატევიდან 200 მეტრზე ახლო მდებარე ნაკვეთების დამუშავება.

მწარმოებელი და რეგისტრანტი:
TAMINCO N.V. Panterschipstraat 207. B-9000 Gent Belgium
Tel.:+32 92 541411, Fax: +32 92 541410,
www.taminco.com

წარმომადგენლობა და დისტრიბუტორი საქართველოში:
მპს "აგროტექნოლოგიები",
თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. 1-37
ტელ.: +995 32 236 5246; +995 599 551 683; +995 577 259 919
ელ.ფოსტა: academcad@gmail.com

დამუშავებულ ნაკვეთში სამუშაოდ გასვლა დასაშვებია 3 დღის შემდეგ.

ლოდინის დრო ბოლო შესხურებიდან მოსავლის აღებამდე: ვაშლი და მსხალი-35 დღე, ატამი-42 დღე, მარწყვი-7 დღე, ყურძენი-35 დღე.

უსაფრთხოების ზომები: აუცილებელია პესტიციდთან მომუშავე პირებისათვის პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება: დამცავი ტანსაცმელი, წყალგაუმტარი ხელთათმანები, დამცავი სათვალე, პირბადე ან რესპირატორი. დახურულ სივრცეში (სათბურში) დამატებითი დამცავი ნიღაბი ან აირწინალი.

პესტიციდთან მუშაობის დროს აკრძალულია თამბაქოს მოწევა, სითხის და საკვების მიღება.

კანზე მოხვედრისას, დაზიანებული ადგილი დაიბანეთ დიდი რაოდენობა წყლით.

გადაყლაპვის ან შესუნთქვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს (დითიოკარბამატებით მოწამვლა).

ინფორმაცია: LD 50 პერორალური (ვირთხა) 1407 მგ/კგ

შეინახეთ საკვები და სასმელი პროდუქტებისაგან მოშორებით და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

აკრძალულია პესტიციდის ნარჩენების და ტარის მდინარეებში, წყალსაცავებში და ტბებში ჩაყრა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უსაფრთხოების წესების შესახებ იხილეთ:

Risk and Safety phrases:

R22 - 43 - 48/22 - 50/53

S2 - 13 - 20/21 - 35 - 36/37 - 45 - 61



საშიში



გარემოსათვის საშიში

ხანძარსაშიშროების კლასიფიკაცია: არ კლასიფიცირდება (E)
შენახვა: ვარგისია 3 წლის განმავლობაში მშრალ და გრილ ადგილას შენახვის პირობებში ქარხნულ შეფუთვაში.

რეგისტრაციის თარიღი/Registration Date:12.06.2012
ნომერი/Number: 879



ნეტო/Net Weight: _____

პარტიის ნომერი/Lot number: _____

გამოშვების თარიღი: _____

Production Date: _____